დამხმარე მასალა 2

რადიოსპექტაკლ “სამყაროთა ომის” შესახებ

ჰერბერტ უელსის რომანის “სამყაროთა ომის” მიხედვით დადგმული რადიოსპექტაკლი რადიოში რეპორტაჟის ფორმით გავიდა და ჩვეულებრივ, ახალი ამბების საინფორმაციო ბადეში იყო ჩასმული: საათის დასაწყისში გამოცხადდა სპექტაკლის დასაწყისის შესახებ, რომელსაც მოჰყვა ამინდის პროგნოზი, შემდეგ კონცერტი, რომელიც სასწრაფო შეტყობინებით შეწყდა - ზემოხსენებული ისტორიით რეალური კორესპონდენტის “ჩართვითა” და ტიპური დოკუმენტური მასალის ხმებით (ყვირილი, მანქანის ხმა და ა.შ).

რადიოინსცენირება CBS-ის ეთერში 1938 წლის 30 ოქტომბერს გავიდა. მისი ავტორი ჟურნალისტი ორსონ უელსი, შემდეგში უკვე სახელგანთქმული კინორეჟისორი (ფილმი “მოქალაქე კეინი”), ცნობილი იმით გახდა, რომ მან ამერიკა დააშინა.